ჩემპიონატი

თბილისის დინამოელებმა 11 მატჩიდან დაკარგეს 11 ქულა

(მოსკოვი, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

5 ივლისს მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მე–11 კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე ოსტატ ფეხბურთელთა "ა" ჯგუფში. თამაშობდნენ **თბილისის "დინამოს" და მოსკოვის "ლოკომოტივის"** გუნდები.

დინამოელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: დოროხოვი, შავგულიძე, გუგუა, კიკნაძე, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ჯორჯიკია და გავაშელი.

თამაში დაიწყო მოსკოველთა აშკარა უპირატესობით. დაცვის მარცხენა ფრთის სისუსტით მარჯვენა გარემარბს – სერდიუკოვს მე-19 და 27-ე წუთზე გააქვს 2 ბურთი.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელები მე–3 ბურთს ღებულობენ თავიანთ კარში. 30-ე წუთზე გარღვევაზე გასულ პაიჭაძეს გააქვს ერთი ბურთი. მატჩი მოიგო "ლოკომოტივმა" ანგარიშით – 3:1. ამრიგად 11 მატჩიდან თბილისის დინამოელებმა დაკარგეს 11 ქულა.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 6 ივლისი, 1939 წ.